ეროვნული ბიბლიოთეკა

დროება

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 73. ქვირა, 5 აპრილი 1909 წ. დამატების № 14.

ოდესის სახელმწიფო ბიბლიოთეკა

გაზაფხული, სურათი ენდოგუროვისა

სახიფათო სიყვარული

ისტორიული მოთხრობა

(დასასრული *)

41

ჰპოვა ფარნაოზმა დაკარგულ სატრფოს კვალი და მიჰყვა მას დაუყოვნებლივ. იმავე დღეს გავიდა ქალაქიდან. ჩქარობდა, უნდოდა დროზე მიესწრო, რომ ქალი არსად გადაეკარგნათ იმ ბინიდან ან არ მოესწრაფებინათ მისთვის დღე. მოსალოდნელი იყო ყოველივე ბოროტი: ძლიერი ხელი ათამაშებდა მის ბედ-ილბალს, დაუნდობელი; იქნება აღარ ეცმარა მას ქალის დაკარგვა და მოესურვებინა მისი დალუპვა. ვიღაც ძალის მექონეს და ბოროტს პირადი ანგარიში ჰქონდა იმ ქალთან. უნდა აჩქარებულიყო ფარნაოზი, დროზე მიჰშველებოდა.

„მივასწრობ კი, ვიპოვი კი, მოვახერხებ მიშველებას? ვაი, თუ გვიანლა არის!“ გაიფიქრა ვაჟკაცმა და მთელი არსებით წინ წაისწრაფა.

„ახ, ფრთები არა“ ჰქონდა—გაფრენილიყო, ფრთები!

„გაიტაცეს უმწეო ქალი. ვინ იცის, რა უგზო-უკვლოდ ატარეს, სად დაულამ-გაუთენეს, რა ხიფათი შეამთხვიეს, რა გასაჭირი. ავაზაკების ხელში ქალი უპატრონო...—ფიქრობდა ვაჟკაცი და შავ-ბნელი ეჭვი ულრღნიდა გულ-ღვიძლს.—თავს მოიკლავდა ტასიკო, უთუოდ თავს მოიკლავდა! მისცეს კი დრო თავის მოკვლისა ან შეძლება?“

გამოუთქმელად იტანჯებოდა ჭაბუკი, ცხენს აჩქარებდა, გზა კი უფრო გრძელდებოდა, არ ილეოდა. გადაიარა ვაკე, შევიდა ტყიან გორაკებში, განვლო რიყიანი, გადავლო მომცრო მთა და ჩაეშვა თეძმის ღელეში. დაიღამა. დასვენება უნდოდა ცხენს.

ალიონზე რომ შეხედა ფარნაოზმა, წინ ვეება მთა აჰყუდებოდა, უტეხილ ტყით შემოსილი. ნისლი ეხვეოდა მთის წვერს. ეს მთა უნდა გადაევლო, რომ ჩაშვებულიყო ერწოს ვაკეში. გზა არსადა სჩანდა. ბილიკი რამ მისდევდა ხვეული. სახიფათო გადასავალსა ჰგვანდა. ფარნაოზი ნავალი არ იყო აქეთ. სიფრთხილეს ნაჩვევმა ახალგაზდამ ფიქრიანად მოავლო თვა-

*) იხ. დამატება № 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი არეს. მარტოდ-მარტო იყო მსუბუქად შეჭურვილი, ცხენზე კი კარგზე იჯდა. მოიმარჯვა იარაღი და შეუდგა მთას.

ბილიკი მალე მიიმალა თვალიდან: უხვად ჩამოსულ ფოთოლს ყველგან და ყოველივე დაეფარა. ერთ წუთს შესდგა მგზავრი, დაფიქრდა და ხევისკენ გაეუხვია. ხევს შეჰყვა, რადგან თუმცა ალმაცრივ მიდიოდა იგი და დასავლეთისკენ იწევდა, მაინც მთის წვერამდის უნდა აეყვანა. ხევი ჩახერგილი აღმოჩნდა ნარიყით თუ ქვით და ძნელი სავალი. მოსწყდა ცხენი, მუხლი აუთრთოლდა. მაინც წინ მიდიოდა. მგზავრმა მიაღწია მწვერვალს. დიდებული სანახავი გადაეშალა თვალწინ. ამპარტავნულად მოეღერებინა ყელი ამაყ ბუნებას, კაცთაგან შეულახავს, დიდებულს, მშვენიერს, დალოცვილს პირველ წყევას ვერ მიეღწია იქამდის და ვერ მოეწამლა ბუნების სახე. შეისვენა. დანაყრდა.

მოტმანანებელი მაგდალინა, სურათი რემბრანდტისა.

თავქვე იმოდენა აღარ იყო. მალე ჩაათავა და გავიდა ველად. მოზრდილი რამ ვაკე ჩანდა ირგვლივ, ტყიან მთებით შემოზღუდული. იარა. მდინარის სათავეს რასმე წაადგა ჭანჭრობიანს. აძეძიაო, დაუსახელეს. იკითხა სოფელი გვირაბიანი. მიასწავლეს. ბევრით დასცილებიყო სოფელს: უნდა ჩაევლო მდინარის მარჯვნივ, თითქმის გაენახევრებინა ველი და იქიდან შეჰყოლიყო ხევს, რომელშიაც ჩამოდიოდა მოზრდილი ნაკადი, აძეძის მარჯვენა ტოტთაგანი. მიაგნო ხევს, შეჰყვა. ხევი მთისკენ იწევდა, უფრო და უფრო ღრმავდებოდა, ფართოვდებოდა. ტყის პირში, ხევის მარჯვენა ფერდობზე, გამოჩნდა სოფელი. გვირაბიანიაო, უთხრეს. გზა ზევით დარჩენილიყო. ეგრე იარე ხევ-ხევ და ზედ მიხვალ დიასამიძის სასახლესთანაო, მიასწავლეს.

უახლოვდებოდა ფარნაოზი სოფელს და გული უფრო და უფრო უძგერდა, უჩქროლავდა, საგულეში აღარ დგებოდა. ეხლაც თუ ასცდა საძებარს, ეხლაც თუ ვერ იპოვა თავისი სულისდგმა, სევდა გულს გაუპობს. აქამდის რომ მოუთმენლად ისწრაფიდა წინ, ეხლა უნდოდა გაგრძელებულიყო ხანი, ცხენი შეაფერხა: ეშინოდა მოეახლოვებინა გაცრუებულიმედთა წამი.

სოფლის ბოლოს ჩამოხტა. ცხენი შეაქაქანა, ტანთსაცმელი გაისწორა, იარაღი გასინჯა, შეკაზმულობა შეასწორა და მოახტა მერანს. ტაიჭი გადაფრინდა და გაექანა წინ. ამაყად იჯდა მხედარი, როგორც რამ ქანდაკება. მის სახეზე მხოლოდ შეუპოვარი გამბედაობა ღა ღბეჭდილიყო: გული გაეკლდევებინა და გაუტეხელად დახვდებოდა ბედისგან ნასროლ ისარს თუ მტრისაგან მოქნეულ მახვილს. გული რაღაასაც ჩასჩურჩულებდა ფარნაოზს, მაგრამ ის ყურს აღარ უგდებდა მის თხრობას: საბრძოლველად მიდიოდა წინ, რადგან არ ეგონა, უბრძოლველად დაუთმობდა ვინმე მას ძვირფას მარგალიტს. გული მაინც არა სცხრებოდა, სიხარულით ივსებოდა, იღიმებოდა, რაღაცა ბედნიერებას უცინოდა. მაინც ვერ მიახედა თავისკენ მხედარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტასიკო დღესაც ჩამოსულიყო კაკალთან, თევზებს ეთამაშებოდა, ეალერსებოდა, ნამცეცებს უყრიდა. მოესმა ფეხის ხმა, ვინმე ცხენოსანი უნდა ყოფილიყო. ბუჩქები ეფარა. ქალი წამოხტა და მიაპყრო თვალი. გამოსცდა ფარნაოზი უკანასკნელ ბუჩქს და პირისპირ შეჰხვდა ტასიკოს. ქალ-ყრმა ერთ წამს შედგნენ გაქვავებულნი: უეცრად აზვირთებულმა გრძნობებმა ვერ შესძლეს მსწრაფლ გამოსულიყვნენ; მაგრამ მალე განხორციელდნენ იგი გრძნობები, გამოეკრთნენ და შეუერთდნენ ერთმანეთს. ვაჟი გადმოფრინდა და გადაეჭდო ხელაბყრობით მომავალ ქალს.



პატიმარი, სურათი ნ. იაროშენკოსი

— ტასიკო!

— ფარნაოზ!

ერთი ღა შეიქმნა განუყოფელი არსება ორი, მოისპო განცალკევება მათი, და იქნენ ორნი ერთხორც და ერთ სულ საიდუმლო ბედნიერებისა. იმ ჟამს კაცი ღვთაებაა ყოვლად ნეტარი!

და წამი იგი შვებისა, ვითარცა წელი ათასი! იმოდენა ბედნიერებაა შენივთებული იმ ერთს წამში, რომ იგი სწვდება და ჰფარავს მთელ შემდეგ სიცოცხლეს, ჰყოფნის მას.

ვაი, რომ ბედნიერება ცოტაა, მცირედ არის გაბნეული სამყაროში, იშვიათია! შემოქმედს უხვად არ შეუფრქვევია ნეტარება ქვეყნიერებისათვის და თუ ერთს ჰხვდა წილად იგი ნეტარება, სხვა იქვე, იმისვე გვერდზედ, უნდა იწოდეს უბედობით და ჰგმობდეს შემომქმედს.

ფარნაოზ—ტასიკოს რომ ცა გაეხსნათ და დაეფინათ ნათელი სიამისა, სარიდონ დიასამიძეს მიწა გაუსქდა და წყვდიადმა მოიცვა მისი არსება.

ზევით იდგა სარიდონი თავის ეზოში და იქიდან უმზერდა ტასიკოს, თვალს ვერ აშორებდა, სტკბებოდა შორიდან მისი არსებობით. სწორედ იმ დროს გაჩნდა უცხო მხედარი ქალის ახლო. სარიდონ მსწრაფლ დაეშვა მისკენ, მაგრამ, როდესაც ქალ-ყრმა გადაეჭდო ერთმანეთს, სარიდონი შესდგა, დაირხა, ჩაიკრიფა, ჩაიკეცა.

და წუთი იგი წამებისა, ვითარცა წელი ათასი! იმდენი უბედურებაა შენივთებული ამგვარ ერთს წამში, რომ იგი სწვდება და ჰგესლავს მთელ შემდეგ სიცოცხლეს ადამიანისას.

ვ. ბარნოვი.

გაზაფხული

—:—

ცის თადმა მკერდი გაიფერფლა,
ზურმუხტი ჯუბა ჩაიცვა ველმა;
ბუჩქს ქვეშ აკმივა იამ გუხდრუკი,
ფრთა-ფრთას შემოჭკრა ნიავმა ნელმა.

—

კლდის ნაპრალიდან კუნტრუშ-ნავარდით
ძირს გადმოიჭრა მთის ნაკადული;
ნანინას უმღერს ფერადს კიდეებს,
მზის ცხოველ სხივით ადფერთოვნებული.

—

წალკოტი ტურფად გაფიანდაზდა,
ჭანგებსა გალობს ტკბილად ბულბული;
მიჯნური სატრფოს მკერდზედ იკონებს,
ბადში თავს იხრის ვარდი ფუჩქვნული.

—

ფაქიზი რწმენის წმინდა სახმილიც,
გულს აღგზნებული, არა ნელდება;
და დვთიურს სატრფოს მონა-მორჩილი
თავგანწირულად ემსახურება.

ს. ფ—ლი

წვრილი ამბები

ელექტრონი, როგორც აღმზრდელი საშუალება. ამერიკის ერთ სასწავლებლის უფროსს ლ. გ. ლანდონეს თავის სასწავლებელში ცელქ და ცუდ ხასიათის ბავშვების გასასწორებლად ორიგინალური საშუალება შემოუღია. ცუდ ხასიათის და ცელქ ბავშვებს ამხანაგებს აშორებენ და ცალკე ოთახებში ამწყვდევენ. ამისთვის ორი ოთახია. ამ ოთახებში ბავშვები სწავლობენ, სადილობენ და სძინავთ. ეს ოთახები იმით განირჩევიან სხვა ოთახებისაგან, რომ კედლებსა, იატაკსა, ჭერსა და ავეჯეულებაზე სპილენძის ღილები აქვს გაკეთებული. ასეთივე ღილები აქვს ბავშვების ფეხსაცმელს. ღილები დაფარულის მავთულით შეერთებულია ელექტრონის მაშინასთან, რომელიც ოთახების გვერდით არის გამართული. ამ ოთახში განუწყვეტლივ აღმზრდელია, რომელიც პატარა ფანჯრიდან უჩინრად თვალყურს ადევნებს ბავშვებს. დაიწყებს თუ არა ბავშვი გინებას, ყვირილს, ცელქობას ან სხვა რამე ცუდს ჩაიდენს, აღმზრდელი იმწამსვე ელექტრონის ძალას გაუშვებს, მხოლოდ იმდენს კი, რომ ბავშვის ჯანმრთელობას არ ავნოს. არაფრის მომლოდინე ბავშვს უცბად ტანში აკრჭოლებს. პირველ ხანებში ბავშვები ამას დიდ ყურადღებას არ აქცევენ, მხოლოდ გაკვირვებულნი არიან ხოლმე ამ უცნაურის გრძნობით, შემდეგ კი, როდესაც რამდენჯერმე განმეორდება ასეთი მოვლენა, იმ აზრზე დგებიან, რომ ყოველ ცუდ საქციელს ეს მოსდევსო, და სცდილობენ ცუდი რამ აღარ ჩაიდინონ. ლანდონე ამბობს თურმე, რომ ამნაირის საშუალებით კარგ შედეგს ვაღწევ და სულ ორი კვირის განმავლობაში ბავშვები სწორდებიანო.

ქალი—დათვი. ბერლინში ამ ჟამად აჩვენებენ ერთ ქალს, რომელსაც თავი ადამიანისა აქვს, ტანი კი დათვისა. ამ ქალის დედ-მამა ნორმალური ადამიანები ყოფილან, მხოლოდ დედას ტანზე ხშირი და გრძელი ბალანი ჰქონია. ეს საკვირველი ქალი რამდენსამე ენაზე ლაპარაკობს. იცის, სხვათა შორის, ინგლისური, ფრანგული, გერმანული და იტალიანური.

სტატისტიკა ინგლისის შესახებ. „სტატ. მან. კ.-ბოოკ.“-ში გამოქვეყნებულია სტატისტიკური ცნობები, საიდანაც ვიგებთ ინგლისის სიძლიერეს და სიდიდეს. მთელი ინგლისის სამეფო $11^1/_2$ მილიონ ოთხკუთხ მილს შეიცავს. აქედან თვითონ ინგლისს უჭირავს 121,390 ოთხ. კუთხი მილი, ინდოეთს—1,766,517 მილი, ახალშენებს და პროტექტორატებს—9,548,579 მილი. მთელ იმპერიაში 392,211,617 სული სცხოვრობს. აქედან თვითონ ინგლისში არის—44,100,231 სული, ინდოეთში—294,317,052 სული, ახალშენებში — 54,328,414 სული. 1908 წელს ინგლისში შეუტანიათ 10,865,081,020 მანეთის საქონელი, გაუტანიათ—10,091,964,920 მანეთისა. მთელს იმპერიაში რკინის გზების სიგრძე უდრის 730,527 ვერს.



ქალაქელი აღდგომის წინ



აღდგომის შემდეგ

სოფლელი აღდგომის წინ

აღდგომის შემდეგ

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე ელქტრო-მბეჭდავი მ. დ. ქიქნაძისა, ტფილისი, ელისაბედის ქ., № 17.